საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

მუზეუმმცოდნეობა

პროგრამის ხელმძღვანელები: ნინო ჭოღოშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
ლანა ქარაია
დოქტორანტი, თსსა მუზეუმის ხელმძღვანელი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2021 წლის 10 ოქტომბერი, ოქმი #37

მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

პროგრამა მოიცავს მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო სპეციალობის ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ სტრუქტურას, წინაპირობებსა და მეთოდოლოგიას. პროგრამის ფარგლებში განიხილება თანამედროვე სამუზეუმო მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები, კოლექციების მართვა, კონსერვაცია და ინტერპრეტაცია, საგამოფენო მენეჯმენტი, საგანმანათლებლო პროგრამები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამუზეუმო მარკეტინგი და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს ამ კრიტიკული საკითხების შესწავლას და ანალიზს იმ დარგობრივი და მომიჯნავე დისციპლინებიდან მიღებული მეთოდოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა პედაგოგიკა, თანამედროვე ხელოვნების ისტორია და კულტუროლოგიის საფუძვლები. ეს ინტერდისციპლინური მიდგომა გადამწყვეტია ქვეყნის მუზეუმების ინტეგრაციისთვის გლობალურ სამუზეუმო სივრცეში.

თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის გადაცემასთან ერთად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართვას სამეცნიერო კვლევებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში, რაც მათ გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სხვადასხვა ტიპის სამუზეუმო აქტივობების განხორციელებისა და XXI საუკუნის მუზეუმების პრობლემების გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიმართულებით.

ფართო სფერო (მიმართულება): 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა
Library, Information and Archival Studies
0322.2.1 მუზეუმმცოდნეობა Museology

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Journalism and Information

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მუზეუმმცოდნეობის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

სწავლის ხანგრძლივობა: 2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამის მიზნები:

- თანამედროვე თეორიების, მეთოდებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე ფართო ერუდიციის კვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება;
- მუზეუმმცოდნეობის სპეციალობის ძირითადი პრინციპების, სპეციფიკური მიმართულებებისა და ეთიკური მოსაზრებების შესახებ სრულყოფილი ცოდნის სტუდენტისათის გადაცემა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით;

- კურსდამთავრებულებისთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საქართველოს მუზეუმების მოდერნიზაციაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციის, მართვის უნარის გამომუშავებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით;
- თანამედროვე მუზეუმის ფილოსოფიის თავისებურებების კვლევა, ანალიზი და სწავლება;
- საქართველოს მუზეუმებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად კვლევის მეთოდების გამოყენება მომიჯნავე დისციპლინებიდან (თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების ისტორია, კულტუროლოგიის საფუძვლები და სხვ.);
- საქართველოს მუზეუმების ინტეგრაციის ხელშეწყობა თანამედროვე მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში;
- მდგრადი სამუზეუმო პრაქტიკით ქვეყნის კულტურული და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა უცხო ენაში (თსსა);
- გამოცდა სპეციალობაში (რეფერატი, პრეზენტაცია)

საგანმანათებლო პროგრამის ხანგრძლივობა: - 2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.

აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა – 21 კვირა; მათ შორის სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის 1 კვირა;

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS და მისი სტრუქტურა ამგვარია:

საფაკულტეტო საგნები - 20 ECTS

სპეციალობის საგნები - 40 ECTS

სამუზეუმო პრაქტიკა - 5 ECTS

არჩევითი საგნები - 25 ECTS

სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS